

This file has been cleaned of potential threats.

If you confirm that the file is coming from a trusted source, you can send the following SHA-256 hash value to your admin for the original file.

54b348a9f9b8f9243a70dc54578ef56d436d262884fdabde759e143f635229de

To view the reconstructed contents, please SCROLL DOWN to next page.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული  
კლასიფიკაცია განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013  
(ISCED-F 2013)



ISCED-2011 განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის თანმზღები  
სახელმძღვანელო

მთარგმნელი: ლალი ბაქრაძე  
რედაქტორი: თამარ ლორთქიფანიძე



წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

## განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013)

### იუნესკო

1945 წლის ნოემბერში, ლონდონის კონფერენციაზე, ოცმა ქვეყანამ მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) წესდება, რომელიც ძალაში 1946 წლის 4 ნოემბერს შევიდა. ამჟამად ორგანიზაცია 195 წევრ ქვეყანასა და 9 ასოცირებულ წევრს აერთიანებს.

იუნესკოს მთავარი ამოცანაა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში ერებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებით ხელი შეუწყოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას მსოფლიოში და ასევე, გააძლიეროს საყოველთაო პატივისცემა სამართლიანობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების მიმართ, რაც მსოფლიო ხალხებისათვის, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა, დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

თავისი მანდატის შესასრულებლად იუნესკო ახორციელებს ხუთ ძირითად ფუნქციას: 1) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციის კვლევები ხვალისდელი მსოფლიოსთვის; 2) ცოდნის გაფართოვება, ტრანსფერი და გაზიარება სამეცნიერო კვლევების, ტრენინგისა და სასწავლო საქმიანობის მეშვეობით; 3) სტანდარტების დადგენა შიდა ინსტრუმენტებისა და ნორმატიული რეკომენდაციების მომზადებისა და მიღებისათვის; 4) წევრ სახელმწიფოებთან ტექნიკური თანამშრომლობა მათი განვითარების პოლიტიკისა და პროექტების ექსპერტიზის მეშვეობით; 5) სპეციალიზირებული ინფორმაციის გაცვლა.

იუნესკოს სათაო ოფისი მდებარეობს პარიზში, საფრანგეთი.

### იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS) არის იუნესკოს სტატისტიკის ოფისი და გაეროს გლობალური სტატისტიკის დეპოზიტორი/საცავი განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი 1999 წელს დაარსდა. მისი შექმნის მიზანი იუნესკოს სტატისტიკის პროგრამის გასაუმჯობესება და დროული, ზუსტი და პოლიტიკისთვის-რელევანტური სტატისტიკის განვითარება და გავრცელებაა, რაც აუცილებელია დღევანდელი კომპლექსური და ცვალებადი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსთვის.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი ფუნქციონირებს მონრეალში, კანადა.

## სარჩევი

1. შესავალი.....	5
2. სახელმძღვანელოს მიზანი.....	5
3. კლასიფიკაციის ერთეულები .....	6
4. კლასიფიკაციის გამოყენების სფერო და სტრუქტურა.....	7
5. კლასიფიკაციის დასაბუთება .....	8
6. კლასიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენება: მაგალითები .....	9
7. ინტერდისციპლინური და ფართო პროგრამები და კვალიფიკაციები.....	12
8. სხვა რთული შემთხვევების კოდირება .....	14
9. აგრეგაცია (მონაცემთა გაერთიანება) ანალიზისა და გამოქვეყნებისათვის .....	16
10. კავშირი ISCED-2011-თან და სხვა კლასიფიკაციებთან.....	16
დანართი 1. ISCED-ის განათლებისა და ტრენინგის სფეროები .....	23

## 1. შესავალი

1. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED) არის განათლების შესახებ საერთაშორისოდ შესადარებელი სტატისტიკის შეგროვების, კომპილაციისა და ანალიზის ჩარჩო. ISCED-ი გაეროს ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციის საერთაშორისო ოჯახის წევრია და რეფერირებად კლასიფიკაციას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების განათლების დონეებისა და სფეროების მიხედვით ორგანიზების საქმეში. აღნიშნული კლასიფიკაცია იუნესკომ 1970-იან წლებში შეიმუშავა. ISCED-ი გადამუშავდა ორჯერ, უკანასკნელი რევიზია 2011 წელს განხორციელდა. ISCED-ი არის საერთაშორისო შეთანხმების შედეგი და ის ფორმალურად მიღებულია იუნესკოს წევრი ქვეყნების გენერალურ კონფერენციის მიერ.

2. დოკუმენტის უკანასკნელი რევიზია, ISCED-2011, პირველ რიგში კონცენტრირებული იყო პროგრამების (ISCED-P) საგანმანათლებლო დონეების ცვლილებაზე და კვალიფიკაციების საფუძველზე (ISCED-A) საგანმანათლებლო მიღწევის დონეების კლასიფიცირება პირველად განახორციელა.

3. ISCED-ის განხილვის პროცესში, რომელიც 2011 წლის ვერსიამდე მივიდა, გადაწყდა, რომ განათლების სფეროების გადამუშავება განხორციელდებოდა დამოუკიდებელი პროცესის მეშვეობით და შეიქმნებოდა დამოუკიდებელი, მაგრამ არსებულთან (დონეების კლასიფიკაციასთან) დაკავშირებული სხვა კლასიფიკაცია, რომლის განახლებაც შესაძლებელი იქნებოდა განსხვავებული სიხშირით ისე, რომ შეძლებისდაგვარად არ გამოიწვევდა განათლებისა და მიღწევის დონეების შემდგომ რევიზიას. დონეებისა და სფეროების კლასიფიკაციები რჩება კლასიფიკაციების იგივე ოჯახის ნაწილად. შესაბამისად, ახალი კლასიფიკაცია მოიხსენიება, როგორც *“განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია, განათლებისა და ტრენინგის სფეროები” (ISCED-F)*.

## 2. სახელმძღვანელოს მიზანი

4. საერთო საერთაშორისო კლასიფიკაციის არსებობა ურთიერთშესადარებელი მონაცემების შეგროვების მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯი კი ქვეყნების მიერ კლასიფიკაციის თანამიმდევრული გამოყენებაა. ამდენად, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ISCED-F-ის გამოყენებისათვის საჭირო მკაფიო მითითებების უზრუნველყოფა. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი გახდა, როგორც შესასრულებლად აუცილებელი მთელი რიგი კრიტერიუმების განსაზღვრისა, ასევე განათლებისა და ტრენინგის თითოეულ სფეროში ჩასართავი ან ამ სფეროდან გამოსარიცხი პროგრამების სიების შემუშავების მეშვეობით. დანართში აღწერილია დეტალური *“ISCED - განათლებისა და ტრენინგების სფეროები”*. სფეროებს შორის საზღვრების დადგენაში ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, კლასიფიკაციას თან დაერთვება თითოეული სფეროს განმარტება და ამ სფეროებში ჩასართავი ან სფეროდან გამოსარიცხი პროგრამის/საგნის მაგალითების სრული ჩამონათვალი.

რეფერირების/დამოწმების გაადვილებისათვის სრულ ჩამონათვალში შევა, როგორც ანბანური,<sup>1</sup> ასევე რიცხვითი კოდების ჩამონათვალი.

### 3. კლასიფიკაციის ერთეულები

5. ISCED 2011-ის კლასიფიკაციის საბაზო ერთეულებია *საგანმანათლებლო პროგრამები* და მასთან დაკავშირებული *კვალიფიკაციები*. კლასიფიკაციის იგივე ერთეულები გამოიყენება ISCED - განათლების და ტრენინგის სფეროებისთვისაც (ISCED-F):

ა) საგანმანათლებლო პროგრამა არის “ურთიერთდაკავშირებული ან თანამიმდევრული საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც დროის უწყვეტ მონაკვეთში წინასწარგანსაზღვრული სასწავლო მიზნების ან საგანმანათლებლო ამოცანების სპეციფიკური ნაკრების მისაღწევად დაგეგმილი და ორგანიზებული.” საგანმანათლებლო საქმიანობა არის “მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც მოიცავს სწავლისთვის განკუთვნილ კომუნიკაციის გარკვეულ ფორმებს.”

ბ) კვალიფიკაცია არის “ოფიციალური დადასტურება, ჩვეულებრივ დოკუმენტის ფორმით, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებას. ინდივიდუალური სასწავლო კურსების (მაგ., მოდული ან საგანი) წარმატებით დასრულებისას მიღებული კრედიტები ISCED-ის მიერ არ განიხილება კვალიფიკაციად. ისეთი შემთხვევები, სადაც კრედიტების რაოდენობა საკმარისია ან საგნები, რომლებიც ხანგრძლივობის თვალსაზრისით ექვივალენტურია ან/და ფარავს სრულ საგანმანათლებლო პროგრამას, განიხილება, როგორც კვალიფიკაცია”.

6. “ISCED – F (განათლებისა და ტრენინგის სფეროები)” ახდენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების კლასიფიცირებას სწავლის სფეროების მიხედვით:

ა) სფერო არის “ფართო დომენი, განშტოება ან შინაარსის ნაწილი/არე, რომელსაც ფარავს საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია”.

7. განათლებისა და ტრენინგის სფეროები და განათლების ან საგანმანათლებლო მიღწევების დონეები ISCED-ის ფარგლებში ჯვარედინი-კლასიფიკაციის ცვლადებია და ამდენად, ურთიერთდამოუკიდებლები არიან. კერძოდ, თავდაპირველი ISCED 1976-გან განსხვავებით, სფეროები არაა განსაზღვრული განათლების დონეების ფარგლებში. მართალია განათლების ზოგიერთ დონეზე საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები ხელმისაწვდომია მხოლოდ განათლებისა და ტრენინგის გარკვეულ სფეროებში, თუმცა არსებობს განსხვავდება, როგორც ქვეყნებს შორის, ასევე დროის გარკვეულ მონაკვეთშიც. მაგალითად, მასწავლებლის მომზადება ან საექსპერტო საქმე სხვადასხვა ქვეყანაში განათლების სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. ბოლო წლების განმავლობაში ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების ISCED-ის ქვედა დონიდან ზედა დონეზე გადატანის ტენდენცია გამოიკვეთა.

<sup>1</sup>შესაბამისი დოკუმენტის (FoET-2013) ქართული თარგმანი ინგლისურ-ქართულ ანბანურ ჩამონათვალთან ერთად დამატებით მოიცავს ქართულ-ინგლისურ ანბანურ ჩამონათვალსაც (მთარგმნელის შენიშვნა).

#### 4. კლასიფიკაციის გამოყენების სფერო და სტრუქტურა

8. წინამდებარე კლასიფიკაცია ძირითადად შემუშავდა იმისთვის, რომ აღწეროს განათლებისა და ტრენინგის სფეროები და მოახდინოს მათი კატეგორიზაცია ISCED 2011-ით განსაზღვრულ ფორმალურ განათლების დონეებზე: საშუალო, საშუალოს შემდგომი და უმაღლესი. ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე სხვა დონეების საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციებისთვისაც. კლასიფიკაციის გამოყენება შესაძლებელია სხვა კონტექსტშიც, მაგალითად, არაფორმალური განათლების შინაარსის კლასიფიცირებისას, პირველადი (IVET) და უწყვეტი (CVET) პროფესიული ტრენინგის ან თვითგანათლებისთვის.

9. წინამდებარე გადამუშავებული დოკუმენტი დაეფუძნა კლასიფიკაციის წინა ვერსიებს დროში შედარებითობის უზრუნველყოფის მიზნით. ის შემუშავდა სამ დონიანი იერარქიის სახით: ფართო სფერო (ყველაზე მაღალი დონე), ვიწრო სფერო (მეორე დონე) და დეტალური სფერო (მესამე დონე) და იყენებს ოთხი ციფრისგან შემდგარ კოდირების სქემას. კლასიფიკაცია მოიცავს განათლებისა და ტრენინგის 11 ფართო, 29 ვიწრო და 80 დეტალურ სფეროს.

დონე	სფეროს კატეგორიები	სფეროების რაოდენობა
პირველი დონე	ფართო სფერო	11
მეორე დონე	ვიწრო სფერო	29
მესამე დონე	დეტალური სფერო	≅80

10. დეტალური სფეროების გამოყენება (კლასიფიკაციის მესამე იერარქიული დონე) ძირითადად განსაზღვრულია უმაღლესი განათლების და ასევე, საშუალო და საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი პროფესიული განათლების დონის პროგრამებისა და კვალიფიკაციებისთვის. კლასიფიკაციის გამოყენება ასევე შესაძლებელია საგნობრივი სპეციალიზაციის მქონე ზოგადი განათლების პროგრამებისა და კვალიფიკაციებისთვისაც. ამასთან, ზოგადი განათლების პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ საგნების ფართო სპექტრს, მცირე სპეციალიზაციის ან მის გარეშე, ჩვეულებრივ კლასიფიცირდება ფართო სფეროში “ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები” კოდით “00”.

11. მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკაცია პირველ რიგში საერთაშორისო დონეზე შესადარებელი განათლების სტატისტიკის კომპილაციისთვისაა შემუშავებული, მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია ეროვნულ კონტექსტშიც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ არაა შემუშავებული განათლების სფეროების საკუთარი, სტანდარტული ეროვნული კლასიფიკაცია. მოსალოდნელია, რომ ქვეყანას, რომელსაც ამ კლასიფიკაციის ეროვნულ დონეზე გამოყენების სურვილი აქვს, დასჭირდება სფეროების გარკვეული ჯგუფების ადაპტირება ან მორგება, რათა უკეთ ასახოს მოქმედების არე ან/და ქვეყანაში ხელმისაწვდომი სწავლის სფეროების სპექტრი და დააკმაყოფილოს ეროვნული საჭიროება



ამ ტიპის საგანმანათლებლო მონაცემების ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ეროვნულდონეზე განხორციელებულმა ცვლილებებმა რთული ან შეუძლებელი არ უნდა გახადოს “ISCED-განათლებისა და ტრენინგის სფეროების” შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშგება. ISCED-ის კლასიფიკაციის უპირველესი მიზანია საერთაშორისო დონეზე ანგარიშგების ხელშეწყობა სულ მცირე “ფართო სფეროს” დონეზე მაინც.

## 5. კლასიფიკაციის დასაბუთება

12. განათლებისა და ტრენინგის სფეროების კლასიფიცირება ხდება შინაარსობრივი მიდგომის საფუძველზე. ეს მიდგომა გამოიყენებოდა ISCED-ის წინა (1976, 1997, 2011) ვერსიებშიც. იქ, სადაც შინაარსი მჭიდროდაა დაკავშირებული, საგნები ჯგუფდება და ქმნის კლასიფიკაციის ფართო, ვიწრო და დეტალურ სფეროებს შინაარსობრივ მსგავსებაზე დაფუძნებით. აღნიშნულის მიზანია მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების კლასიფიცირება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის საფუძველზე და არა სავარაუდო მონაწილეების (სამიზნე ჯგუფების) მახასიათებლების მიხედვით.

13. ძირითადი შინაარსი განსაზღვრავს განათლებისა და ტრენინგის იმ სფეროს, სადაც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ან კვალიფიკაციის კლასიფიცირება. შინაარსი არის ფაქტიური, პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც ისწავლება საგანმანათლებლო პროგრამის განმავლობაში და რომელიც აღიარებულია მასთან დაკავშირებული კვალიფიკაციით. ეს ცოდნა გამოიყენება განსაკუთრებული ტიპის პრობლემების გადაჭრის ან სპეციფიკური მიზნებისათვის, რაც შეიძლება იყოს აბსტრაქტული (მაგ., ფილოსოფია), პრაქტიკული (მაგ., ინჟინერია) ან ორივე (მაგ., არქიტექტურა). პრაქტიკული მიზნებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის ან კვალიფიკაციის ძირითადი შინაარსი განისაზღვრება იმ დეტალურ სფეროს მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნება სასწავლო კრედიტების ან სტუდენტისთვის წინასწარგანზრახული სასწავლო დროის უმრავლესობა (ე.ი.50%-ზე მეტი) ან მკაფიოდ დომინანტი ნაწილი. იქ, სადაც შესაძლებელია, გამოყენებულ უნდა იყოს სასწავლო კრედიტები. სხვა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სასწავლო დროის მიახლოებითი შეფასება. სასწავლო დრო მოიცავს ლექციებსა და სემინარებზე, ასევე ლაბორატორიასა და სპეციალურ პროექტებზე დახარჯულ დროს. ამ შემთხვევაში დამოუკიდებლად სწავლის პერიოდი გამოირიცხება (ვინაიდან მისი გაზომვა რთულია და იგი განსხვავდება სხვადასხვა სტუდენტთან მიმართებაში). დეტალურ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები კლასიფიცირებულია თავისი ძირითადი საგნის მიხედვით.

14. იქ, სადაც სასწავლო კრედიტების ან განზრახული სასწავლო დროის ხვედრითი წილების განსაზღვრისთვის საკმარისი ინფორმაცია არ მოიპოვება, საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები უნდა კლასიფიცირდეს იმ სფეროში, რომელიც სახელწოდებაში პირველადაა მოხსენიებული. იქ, სადაც ძირითადი საგნის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება რადგან საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია მოიცავს რამდენიმე დეტალურ სფეროს (ან ვიწრო და ფართო სფეროსაც კი), რომელთაგან არც ერთი არ დომინირებს, საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია კლასიფიცირდება ინტერდისციპლინურ კატეგორიაში (შემდგომი ინფორმაციისათვის იხ. სექცია 7).

15. ორი საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია მიეკუთვნება ერთსა და იმავე სფეროს, თუ ძირითადი შესასწავლი საგნები/საკითხები ერთი და იგივეა ან საკმარისად მსგავსია. კლასიფიკაციის სტრუქტურის შემუშავებისას განათლებისა და ტრენინგის სფეროების ფართო, ვიწრო და დეტალურ სფეროებად კლასიფიცირების მიზნით შინაარსის მსგავსების ხარისხის დასადგენად **პრიორიტეტული რიგითობით** გამოყენებულია ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები:

- ა. თეორიული ცოდნის შინაარსი (ე.ი. იდეები და კონცეფციები და მათი გამოყენება ფაქტების ახსნისა და შედეგების განჭვრეტისთვის).
- ბ. სწავლის მიზნები (ე.ი. ათვისებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიზანმიმართული გამოყენება).
- გ. ინტერესის ობიექტები (ე.ი. მოვლენები, პრობლემები ან შესასწავლი ერთეულები).
- დ. მეთოდები და ტექნიკა (ე.ი. ცოდნისა და უნარების შესწავლისა და გამოყენების პროცედურები).
- ე. ხელსაწყოები და მოწყობილობები (ე.ი. ინსტრუმენტები და სამუშაო იარაღები, რომელთა გამოყენებას ან ოპერირებასაც სწავლობს ინდივიდი).

16. იდეალურ შემთხვევაში, კლასიფიკაცია საერთაშორისო დონეზე “დაბალანსებული” უნდა იყოს ფართო სფეროს მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში არც ერთი ფართო სფერო არ უნდა დომინირებდეს. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვების ან დამთავრებულების რაოდენობის დათვლისას არ უნდა გვექონდეს იმის მოლოდინი, რომ სხვა ფართო სფეროებთან მიმართებაში ჩარიცხვა/დამთავრების არაპროპორციული ციფრები კონცენტრირებული იქნება ერთ ფართო სფეროში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო სისტემები განსხვავდება, როგორც ქვეყნებს, ასევე განათლების დონეებს შორისაც, შეუძლებელია ერთი კლასიფიკაციის შემუშავება, რომელიც ყველა ქვეყნისა და ყველა დონისთვის იქნება დაბალანსებული.

## 6. კლასიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენება: მაგალითები

17. წინამდებარე კლასიფიკაციის ფართო და ვიწრო სფეროების კატეგორიები ISCED-1997-ის ანალოგიურია. ისინი ძირითადად განისაზღვრა თეორიული ცოდნისა და სწავლის მიზნების მსგავსების მიხედვით და ნაკლებად, იმ ინტერესის ობიექტების მიხედვით, რომელსაც ეს სწავლის სფერომოიცავს. დეტალური სფეროები კი სხვებისგან ძირითადად გამოირჩევა მეთოდებისა და ტექნიკის, ასევე ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების მიხედვით. ამ სექციაში აღწერილია აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენების, მომიჯნავე შემთხვევებისა და ორი სპეციფიკური გამონაკლისის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები და მასწავლებლის მომზადება) მაგალითები.

### *შინაარსის მსგავსება განათლების სხვადასხვა დონეზე*

18. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია ასოცირებულია თეორიის გაგების, ფაქტიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გარკვეულ ნაზავთან. განათლების სხვადასხვა დონეზე არსებული ორი საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია მიეკუთვნება განათლებისა და ტრენინგის ერთსა და იმავე სფეროს თუ ისინი მოიცავენ თეორიული, ფაქტიური და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მსგავს ტიპებს, მაშინაც კი თუ თითოეულ მათგანთან დაკავშირებული აქცენტები

განსხვავებულია. მაგალითად, ხელსაწყოების წარმოების/გაკეთების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მათემატიკას გარკვეული რაოდენობით, მექანიკურ ინჟინერიაში გამოყენებულ საინჟინრო თეორიასა და ფაქტიურ ცოდნას. ამდენად, ხელსაწყოების გაკეთებასა და მექანიკურ ინჟინერიაში უნდა ჰქონდეთ განათლებისა და ტრენინგის ერთი და იგივე სფერო (0715 “მექანიკა და ლითონის საქმე”), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასოცირებულნი არიან განათლების სხვადასხვა დონესა და სხვადასხვა მიღწევასთან.

### ***შინაარსის მსგავსება განათლების ერთსა და იმავე დონეზე***

19. აღნიშნულის საპირისპიროდ “საექთნო და სამედიცინო საქმე” კლასიფიცირებულია კოდით 0913 და “მედიცინა” კი 0912-ით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ შორის არსებობს შინაარსობრივი განსხვავება - განსაკუთრებით კი სწავლის მიზნებში (ექიმებმა და ექთნებმა უნდა აითვისონ და გამოიყენონ განსხვავებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები), მეთოდსა და ტექნიკაში და თვით ინსტრუმენტებსა და ხელსაწყოებშიც კი. ასევე არსებობს მონაცემთა მომხმარებლების ძლიერი ინტერესი, რომ ერთმანეთისგან გაარჩიონ ექთანი და ექიმი. ზოგიერთ ქვეყანაში ექიმები და ექთნები განათლების ერთსა და იმავე დონეზე სწავლობენ და იღებენ კვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში მათ შორის დიფერენცირება უფრო იოლია განათლების სფეროების, ვიდრე განათლების დონეების მიხედვით.

### ***მომიჯნავე შემთხვევები***

20. მომიჯნავე შემთხვევებს ადგილი აქვს იქ, სადაც საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია მჭიდროდ უკავშირდება კლასიფიკაციის ორ განსხვავებულ სფეროს. მაგალითად, ვეტერინარიას მსგავსება აქვს ორივესთან, მედიცინასთან (განსაკუთრებით თეორიული ცოდნა და ასევე სწავლის მიზნებიც) და მეცხოველეობასთან (ინტერესის ობიექტი, მეთოდი და ტექნიკა, ინსტრუმენტები და ხელსაწყოები). ეს უკანასკნელი შეირჩა ვეტერინარიის კლასიფიცირებისათვის, ISCED-ის წინა ვერსიებთან და ასევე სხვა დაკავშირებულ კლასიფიკაციებთან (მაგ., მეცნიერების სფეროები და ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (ISIC)) კავშირის შენარჩუნების მიზნით და ადამიანის ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობისთვის განკუთვნილი ფართო სფეროს დაცვის მიზნით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული პოლიტიკის ანალიზისათვის.

21. მეორე მაგალითია “ზრუნვა/მოვლა”. სამედიცინო მოვლა კლასიფიცირებულია ვიწრო სფეროში “ჯადაცვა” – 091 და არასამედიცინო მოვლა კი ვიწრო სფეროში “სოციალური კეთილდღეობა”- 092, იმის საფუძველზე, რომ ამ ორი სფეროსთვის მოთხოვნილი თეორიული ცოდნა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულია.

### ***ზოგადი პროგრამები***

22. ზოგადი პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ისეთი საგნების სპექტრს, როგორცაა ენა და ლიტერატურა, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, ხელოვნება ან/და ფიზიკური განათლება, უნდა კლასიფიცირდეს სფეროში კოდით 0011 - “საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები”. ასე უნდა კლასიფიცირდეს მაშინაც კი, თუ ადგილი აქვს გარკვეულ კონცენტრაციას ისეთი კატეგორიის შინაარსზე, როგორცაა ჰუმანიტარია, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ. ეს პროგრამები ინტერდისციპლინური ან ფართო პროგრამების ის სპეციფიკური ტიპებია,

რომლისთვისაც შეიქმნა ფართო სფერო. ამდენად, ისინი არ უნდა კლასიფიცირდეს სხვა ფართო სფეროებში, როგორც ინტერდისციპლინური ან ფართო პროგრამა.

### **პროგრამები და კვალიფიკაციები ინჟინრებისათვის**

23. საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები ინჟინრებისათვის უნდა მიეკუთვნოს დეტალურ სფეროს 071-“ინჟინერია<sup>2</sup> და საინჟინრო საქმე”, სამოქალაქო ინჟინერიისა და მშენებლობისათვის კი 0732 –“მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია”. მაშინაც კი, თუ სწავლა ორიენტირებულია კომპიუტერზე, მედია ტექნიკაზე, ტექსტილზე, საკვებ პროდუქტზე და ა.შ. მათი კლასიფიცირება უნდა განხორციელდეს 071 ან 0731 კოდის ქვეშ; თუ აქცენტი გადატანილია მანქანებზე, ძრავებზე, ელექტრო მოწყობილობებზე, ელექტრონიკაზე, კომპიუტერებზე, ტელეკომუნიკაციაზე და ა.შ. (071) ან შენობებზე, გზებსა და ხიდებზე (0732).

### **წარმოებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამები**

24. წარმოების საგანმანათლებლო პროგრამები კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 071-“ინჟინერია და საინჟინრო საქმე”, თუ აქცენტი მიმართულია ინჟინერიაზე, მაგ., ლითონის საქმე, მექანიკა, მანქანები, ძრავები, ელექტრო მოწყობილობები და ა.შ.

25. წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირება უნდა მოხდეს კოდით 072 “წარმოება და გადამუშავება”. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, სადაც აქცენტი გადატანილია ისეთი სპეციფიკური პროდუქტის წარმოებაზე როგორცაა: კვების პროდუქტები, ტექსტილი, ფეხსაცმელი, ქაღალდი, ავეჯი, მინა, პლასტმასი და ა.შ. მიუხედავად ამისა, ლითონის პროდუქტების წარმოება გამოირიცხება ვიწრო სფეროდან-072 და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0715 –“მექანიკა და ლითონის საქმე”.

### **ენები**

26. ენების კლასიფიცირება უნდა მოხდეს ერთ-ერთ დეტალურ სფეროში: 0231-“ენის დაუფლება” ან 0232-“ლიტერატურა და ლინგვისტიკა”, სასწავლო პროცესის სავარაუდო მონაწილეების<sup>3</sup> მახასიათებლების საფუძველზე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის ანაცვლებს სწავლის შინაარსს). მშობლიურ ენაზე ან ამ ენაზე თავისუფლად მოსაუბრეებისთვის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული კონტექსტი, სწავლის მიზნები და სწავლების ტიპები მკაფიოდ განსხვავდება სხვა ენის დაუფლების მსურველთათვის შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებისგან. პირველ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია შესაბამისი ენის ლიტერატურასა და ლინგვისტიკაზე და არა გრამატიკასა და ლექსიკაზე (განათლების საშუალო და უმაღლეს დონეებზე). მეორე შემთხვევაში კი პროგრამა ფოკუსირებულია გრამატიკასა და ლექსიკაზე, ასევე შესაძლებელია კულტურაზე და უფრო ნაკლებად ლიტერატურასა და ლინგვისტიკაზე.

<sup>2</sup>გასათვალისწინებელია, რომ “ინჟინერია” უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს სხვა კატეგორიებსაც, ვიდრე უბრალოდ ინჟინერს, რომელიც საინჟინრო საქმეში მუშაობს როგორც პროფესიონალი. განათლების დონესთან მიმართებაში არანაირი განსხვავება არაა 071 და 072 დეტალურ სფეროებს შორის.

<sup>3</sup>ანუ სტუდენტი უკვე ფლობს შესასწავლ ენას თუ არა.

### *პროფესიული პროგრამები და კვალიფიკაციები დამხმარე საგნების ჩათვლით*

27. პროფესიულ პროგრამებში, მაგალითად, სრული საშუალო განათლების ზოგიერთ გრძელვადიან პროგრამებში, უფრო მეტი დრო შეიძლება დაეთმოს დამხმარე საგნებს, ვიდრე პროფესიას ან პროფესიების კლასის ძირითად შინაარსს. მიუხედავად ამისა, ასეთი პროგრამებისა და მათი დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაციების კლასიფიცირება უნდა მოხდეს შესაბამის პროფესიასთან ან პროფესიების კლასთან ასოცირებულ პროფესიულ სფეროში. ესაა გამონაკლისი არსებული წესიდან, რომელიც ითვალისწინებს კლასიფიცირებას ძირითადი ან დომინანტი საგნის შესაბამისად, ვინაიდან პროფესიული პროგრამებისა და კვალიფიკაციებისთვის მნიშვნელოვანია სამიზნე პროფესიის/საქმიანობის იდენტიფიცირება. პრაქტიკაში, სავარაუდოა, რომ მიზნობრივი საქმიანობის სფერო არის ზუსტად ის სფერო, რომელსაც ეთმობა ყველაზე მეტი სასწავლო დრო.

*მაგალითი 1:* ჯანდაცვის საექთნო საქმის პროგრამა უნდა კლასიფიცირდეს დეტალურ სფეროში 0913 – “საექთნო და სამედიცინო საქმე”, მაშინაც კი თუ დადგენილი სასწავლო დროის უმეტესობა ეთმობა სხვა საგნებს და არა საექთნოს.

### *მასწავლებლის მომზადების პროგრამები და კვალიფიკაციები საგნობრივი სპეციალიზაციით*

28. მასწავლებლის მომზადების პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც უპირველესად ფოკუსირებულია საგნობრივ სპეციალიზაციაზე კლასიფიცირდება, როგორც მასწავლებლის მომზადება, მაშინაც კი თუ საგნობრივი სპეციალიზაცია არის ძირითადი შინაარსი. იგივე პრინციპი უნდა იყოს გამოყენებული იმ საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვალიფიკაციებზე, რომლებიც განათლების ან მასწავლებლის მომზადებისა და სპეციალიზაციის საგნის კომბინირებას ახდენენ. ეს არის გამონაკლისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების ძირითადი ან დომინანტი საგნის მიხედვით კლასიფიცირების წესიდან, ვინაიდან მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადების სხვა დეტალური სფეროებისგან დამოუკიდებლად იდენტიფიცირების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი განათლების სისტემის ანალიზისათვის.

## **7. ინტერდისციპლინური და ფართო პროგრამები და კვალიფიკაციები**

29. ინტერდისციპლინური ან ფართო პროგრამა და კვალიფიკაცია არის ისეთი პროგრამა/კვალიფიკაცია, რომელშიც გაერთიანებულია განათლებისა და ტრენინგის რამდენიმე დეტალურ სფერო ისე, რომ არც ერთი დეტალური სფერო არ დომინირებს. ბევრი ინტერდისციპლინური პროგრამა და კვალიფიკაცია მოიცავს რამდენიმე ვიწრო და ფართო სფეროსაც კი. წინამდებარე კლასიფიკაცია იყენებს “წამყვანი საგნის წესს” იმ ფართო სფეროს დასადგენად, რომელშიც უნდა მოხდეს ინტერდისციპლინური პროგრამის კლასიფიცირება. ანუ წამყვანი საგანი ან საგნები განსაზღვრავენ (ფართო) სფეროს. როგორც ზემოთაა აღინიშნული, წამყვანი საგნ(ებ)ის განსაზღვრის კრიტერიუმია მისი წილი სასწავლო კრედიტებშიან სტუდენტის სწავლისთვის განსაზღვრულ დროში. ინტერდისციპლინური პროგრამები კლასიფიცირდება ციფრი “8”-ს გამოყენებით ვიწრო ან დეტალური სფეროს დონეზე (ე.ი XX88) წამყვანი ფართო სფეროს ფარგლებში, როგორც

“ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს [ფართო სფეროს]”. ამდენად, ყველა ინტერდისციპლინური პროგრამა დომინანტი საგნის გარეშე ცალკე იქნება იდენტიფიცირებული და სულ მცირე, პროგრამის ან კვალიფიკაციის წამყვანი ფართო სფერო მაინც იქნება ცნობილი.

მაგალითი 2: საგანმანათლებლო პროგრამა რომელიც შედგება თეოლოგიის (0221), ისტორიისა (0222) და ფილოსოფიის (0223) თანაბარი ნაწილებისგან (თითოეული ერთი მესამედი) კლასიფიცირდება კოდით 0288 (“ინტერდისციპლინური პროგრამა და კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარიას”). თუ პროგრამა გადანაწილებულია შემდეგი თანაფარდობით: თეოლოგია 60%, ისტორია 20% და ფილოსოფია 20%, მაშინ ის კლასიფიცირდება კოდით 0221, ვინაიდან თეოლოგია დომინანტი საგანია.

30. ერთზე მეტი წამყვანი ფართო სფეროს იდენტიფიცირების შემთხვევაში ინტერდისციპლინური პროგრამა კლასიფიცირდება იმ ფართო სფეროში, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ან კვალიფიკაციის სახელწოდებაში (თუ სახელწოდებაში არაა აღნიშნული, მაშინ განისაზღვრება კურიკულუმის ან სილაბუსების მიხედვით) პირველ რიგშია მოხსენიებული. იქ, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის წამყვანი საგნის განსაზღვრისთვის ინფორმაცია არასაკმარისია, გამოიყენება წინა წინადადებაში აღნიშნული “პირველ რიგში დასახელებული” საგნის წესი.

31. საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ორ ან მეტ დეტალურ სფეროს, სადაც ერთ დეტალურ სფეროს მიეკუთვნება სასწავლო კრედიტების ან დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი, კლასიფიცირდება უმეტესი წილის მქონე დეტალურ სფეროში. ამდენად, თუ სასწავლო კრედიტების ან დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ერთ დეტალურ სფეროს, მაშინ პროგრამა/კვალიფიკაცია უნდა კლასიფიცირდეს ამდეტალურ სფეროში და არა როგორც ინტერდისციპლინური პროგრამა/კვალიფიკაცია.

მაგალითი 3: მათემატიკის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებითი პროგრამაა ფრანგული, კლასიფიცირდება კოდით 0541 - “მათემატიკა”, ვინაიდან ის არის დომინანტი საგანი.

მაგალითი 4: საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 40% - ინჟინერიას (071), 30% - ბიზნესს (041) და 30% - ენებს (023) კლასიფიცირდება კოდით 0788 (“ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ინჟინერიას, წარმოებასა და მშენებლობას”), ვინაიდან აღნიშნული სფეროებიდან არც ერთი არაა დომინანტი, მაგრამ 07 არის წამყვანი ფართო სფერო. თუ ინჟინერია და ბიზნესი თანაბარმნიშვნელოვანი იქნება და ენაზე მეტი წილის მქონე (ე.ი. 40%, 40% და 20%), მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა კლასიფიცირდება ერთ-ერთი კოდით ან 0788 ან 0488 იმის საფუძველზე თუ პროგრამის სახელწოდებაში რომელია დასახელებული პირველ რიგში: ინჟინერია(071) ან ბიზნესი (041).

მაგალითი 5: საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 40% ისტორიას (0222), 30% ეკონომიკას (0311) და 30% პოლიტიკას (0312) კლასიფიცირდება კოდით 0388 (“ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას”), ვინაიდან ეკონომიკა და პოლიტიკა ერთსა და იმავე ფართო სფეროს განეკუთვნებიან.

32. ერთ სპეციფიკურ პროფესიულ სფეროზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს დამხმარე საგნებს სხვა სფეროებიდან არ განიხილება ინტერდისციპლინურ საგანმანათლებლო პროგრამად ან კვალიფიკაციად და კლასიფიცირდება სპეციფიკურ პროფესიულ სფეროში.

მაგალითი 6: ელექტრომონტაჟის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია უფრო მეტი სასწავლო დრო დაეთმოს დამხმარე საგნებს (ენები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ) ვიდრე შესაბამის პროფესიულ საგანს. მიუხედავად ამისა ეს პროგრამა კლასიფიცირდება როგორც 0713 –“ელექტრობა და ენერჯია” და არა როგორც ინტერდისციპლინური პროგრამა.

33. “წამყვანი საგნის წესი” არის ერთადერთი შესაძლო გამოსავალი ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირებისათვის, ვინაიდან ამ სახელმძღვანელოს მიხედვით მხოლოდ ერთი კოდის მინიჭებაა რეკომენდირებული. ამასთან, მომხმარებლებს, რომლებსაც შეუძლიათ მიანიჭონ ორი ან მეტი კოდი<sup>4</sup>, შეძლებენ ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირებას სფეროების კომბინაციით.

## 8. სხვა რთული შემთხვევების კოდირება

### *არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას და არაკლასიფიცირებულია*

34. განათლებისა და ტრენინგის სფეროების ფარგლებში სპეციფიკური მონაცემების შეგროვების დროს, პროგრამებისა და კვალიფიკაციების კოდირებისას საჭიროა ყურადღების გამახვილება ორ გავრცელებულ შემთხვევაზე:

ა. შემთხვევა, როდესაც მოცემული პროგრამისა თუ კვალიფიკაციის შესახებ არ მოიპოვება დამატებითი ინფორმაცია გარდა იმისა, რაც უკვე ცნობილია კლასიფიკაციის უფრო მაღალ დონეებზე. ეს შემთხვევა ცნობილია, როგორც “არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას/მეტად ვერ განისაზღვრება” და კლასიფიკაციის იერარქიის ვიწრო ან დეტალური სფეროს კოდის ბოლოს (შესაბამისობის მიხედვით) მიეთითება ერთი ან მეტი “0”.

*მაგალითი 7:* ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც მეტი ინფორმაცია აღარ მოიპოვება კლასიფიცირდება კოდით 0710- “ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას”. არ შეიძლება ასეთი შემთხვევების ინტერდისციპლინურ ან ფართო პროგრამებად განხილვა.

*მაგალითი 8:* მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც მეტი ინფორმაცია აღარ მოიპოვება კლასიფიცირდება კოდით 10000 “მომსახურება - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას”.

<sup>4</sup>მაგალითად, სადაც ხდება მონაცემების შენახვა და საჭირო არაა მათი მოპოვება საოჯახო მეურნეობების ან სხვა კვლევების საფუძველზე. რამდენიმე კოდის გამოყენება არაა ISCED-F-ის ამოცანა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ ეროვნული მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენოს რამდენიმე კოდი.

ბ. შემთხვევები, როდესაც კონკრეტული დეტალური სფეროები ცნობილია და ადეკვატურადაა აღწერილი, მაგრამ კლასიფიკაციაში მკაფიოდ არაა გათვალისწინებული, ცნობილია სახელწოდებით -“არაკლასიფიცირებული/არსად არაა კლასიფიცირებული” და მისი აღნიშვნისთვის კლასიფიკაციის დეტალური სფეროს დონეზე გამოიყენება ციფრი “9” (ანუ კოდის ბოლო ციფრი).

მაგალითი 9: საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ახალ სფეროში, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ სხვა დეტალურ სფეროს კლასიფიცირდება კოდით 0619 - “ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული”.

კლასიფიკაციის სტრუქტურა არ მოიცავს ზემოაღნიშნულ ორ კოდს: “არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას” და “არაკლასიფიცირებული.” ეს დამატებითი კოდებია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია იმ მონაცემთა დამუშავებისას, რომლებიც ადეკვატურად ან საკმარისად არაა აღწერილი (“არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას”) ან რომლებიც კლასიფიკაციის სტრუქტურაში მკაფიოდ არაა მოცემული (“არაკლასიფიცირებული”).

“0”, “8” და “9” ციფრების გამოყენებისას შეიძლება წარმოიშვას მათ შორის განსხვავების ჩვენების სირთულე. ამაში დაგეხმარებათ ცხრილი 1.

**ცხრილი 1. დამატებითი კოდები**

კოდი	სახელწოდება	გამოყენება	მაგალითი
0	არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას / მეტად ვერ განისაზღვრება	კლასიფიკაციის უფრო მაღალ დონეზე არსებულის გარდა არ არსებობს სხვა ინფორმაცია	7 ან 8
8	ინტერდისციპლინური და ფართო პროგრამები და კვალიფიკაციები	საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები დომინანტი დეტალური სფეროს გარეშე	2 (პირველი ნაწილი), 4 და 5
9	არაკლასიფიცირებული	დეტალური სფერო ცნობილია, მაგრამ კლასიფიკაციაში არაა მოცემული	9

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები დომინანტი დეტალური სფეროებით (ანუ რომელიც მოიცავს სასწავლო კრედიტის ან დადგენილი დროის 50%-ზე მეტს) კლასიფიცირებულია შესაბამის დომინანტ სფეროში (იხ. მაგალითები 1, 2 (მეორე ნაწილი), 3 და 6).



35. მონაცემთა შეგროვების დროს, თუ სწავლის სფერო არის საერთოდ უცნობი, მაშინ გამოიყენება კოდი “9999”. კვლევა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ფართო და ვიწრო სფეროების დონეებს, შესაბამისად გამოიყენებს კოდებს “999” ან “99”.

## **9. აგრეგაცია (მონაცემთა გაერთიანება) ანალიზისა და გამოქვეყნებისათვის**

36. ინფორმაციის საჭიროებიდან გამომდინარე წინამდებარე კლასიფიკაციის გამოყენება შესაძლებელია იერარქიის ნებისმიერ დონეზე, როგორც მონაცემთა შეგროვების, ასევე მათი გავრცელებისათვის. ის უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, როგორც ანალიზის, ასევე შედეგების პრეზენტირების მიზნების დასაკმაყოფილებლად.

37. ყოველთვის არსებობს მონაცემთა გაერთიანების საჭიროება გამოქვეყნების მიზნებისთვის. მაგალითად, იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი მონაცემებს ფართო სფეროს დონეზე აქვეყნებს.

38. შესაბამისი ყურადღება უნდა გამახვილდეს ანალიზის მიზნებზე. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ ამჟამად გამოყენებული მეთოდის გარდა, შესაძლებელია შემუშავდეს მონაცემთა სხვა სახით დაჯგუფების პრინციპი, განსაკუთრებით კი, ინფორმაციის გავრცელების მიზნებისთვის.

## **10. კავშირი ISCED-2011-თან და სხვა კლასიფიკაციებთან**

### *კავშირი ISCED-2011-თან*

#### *ორიენტაცია და სფეროები*

39. **ორიენტაცია** (ზოგადი ან პროფესიული განათლება) და განათლებისა და ტრენინგის **სფეროები** ISCED-ის ორი განსხვავებული განზომილებაა და ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს.

40. ISCED 2011-ის მიერ პროფესიული განათლება განმარტებულია შემდეგნაირად:

*პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია იმისათვის, რომ სტუდენტმა აითვისოს კონკრეტული პროფესიის, საქმიანობის ან პროფესიის კლასებისთვის სპეციფიკური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. პროფესიულ განათლებას შეიძლება ჰქონდეს მუშაობაზე დაფუძნებული კომპონენტი. ასეთი პროგრამების წარმატებით დასრულება მიდის შრომის ბაზრის რელევანტურ პროფესიულ კვალიფიკაციამდე, რომელიც შესაბამისი ეროვნული ხელისუფლების ან/და შრომის ბაზრის მიერ აღიარებულია, როგორც პროფესიაზე/დასაქმებაზე ორიენტირებული კვალიფიკაცია.*

41. ISCED 2011-ის მიერ ზოგადი განათლება განმარტა შემდეგნაირად:

*პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლის ზოგადი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების, ისევე როგორც წიგნიერებისა და რაოდენობრივი უნარების განვითარების მიზნით და ხშირად მოსწავლეებს ამზადებს უფრო მოწინავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის, ISCED-ის განათლების იმავე ან უფრო მაღალ დონეზე და ქმნის საფუძველს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის.*

42. პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც ISCED 2011-ის ორიენტაციის შესაბამისად კლასიფიცირებულია როგორც ზოგადი განათლება და მოიცავს საგნების ფართო სპექტრს რომელიმე სფეროში სპეციალიზაციის გარეშე უნდა კლასიფიცირდეს ფართო სფეროში - “ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები” კოდით 0011 – “საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები”.

ზოგადი განათლების სხვა პროგრამები და კვალიფიკაციები კლასიფიცირდება განათლებისა და ტრენინგის სფეროებზე მათი ძირითადი შინაარსის მიხედვით. ზოგადი ან აკადემიური განათლებამდღესის დონეზე შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით კლასიფიცირდეს ფართო სფეროში - “ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები”.

*მაგალითი 10:* ISCED 2011-ის მეხუთე დონის საგანმანათლებლო პროგრამა ან კვალიფიკაციამათემატიკაში ორიენტაციით შეიძლება იყოს ზოგადი განათლება, მაგრამ მიეკუთვნება დეტალურ სფეროს 0541 – “მათემატიკა”.

#### ***შესაბამისობა ISCED-F-სა და ISCED 1997 (ISCED 2011)-ის განათლების სფეროებს შორის***

43. ISCED-F-2013-ის ფართო სფეროებს შორის განხორციელდა ზოგიერთი ვიწრო ან დეტალური სფეროს გადანაცვლება წინამდებარე დოკუმენტის მეხუთე სექციაში, განსაკუთრებით კი მეთხუთმეტე პარაგრაფში, აღწერილი კლასიფიკაციის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ცვლილებები მოცემულია შესაბამისობის ცხრილში (იხ. ცხრილი 2).

44. ძირითადი ცვლილებები:

ა. ISCED 1997-ში მოცემული სფერო 22 – “ჰუმანიტარული მეცნიერებები” გაიყო ორ ვიწრო სფეროდ: 022 -“ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) და 023 - “ენები”.

ბ. ISCED 1997-ის ფართო ჯგუფი 3 –“სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი” გაიყო ორ ფართო სფეროდ: 03 – “სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია” და 04 - “ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი”.

გ. ახალი კლასიფიკაციის ფართო სფერო 05 - “საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკა და სტატისტიკის” ფარგლებში შეიქმნა ახალი ვიწრო სფერო 052 – “გარემო,” ISCED 1997-ის სფერო 42 -“სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების” გაყოფისა და 62-“სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობის” ზოგიერთ სფეროსთან კომბინირებით”.

დ. ISCED 1997-ის ფართო ჯგუფი 4 -“მეცნიერება” გაიყო ორ ფართო სფეროდ: 05-“საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა” და 06-“ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები”.

ე. 07- “ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის” ფართო სფეროში შეიქმნა ახალი ვიწრო სფერო 0712 - “გარემოს დაცვის ტექნოლოგია”, რომელშიც გადავიდა ISCED1997-ის ფართო სფერო 8-“მომსახურების” ქვეშ არსებული სფერო 85-“გარემოს დაცვის” უმეტესი ნაწილი.

ვ. ISCED 1997-ის ფართო სფერო 6-“სოფლის მეურნეობას” შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა, როგორც ახალი ფართო სფერო 08 -“სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია”. ამასთან, ISCED1997-ის 62- “სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის” სფეროს ზოგიერთი ნაწილი გადავიდა ახალ ვიწრო სფეროში 052 -“გარემო”.

ზ. ISCED 1997-ის სფერო 85-“გარემოს დაცვის” დარჩენილი ნაწილისგან ჩამოყალიბდა ახალი ვიწრო სფერო 102 -“უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები.”

**ცხრილი 2. შესაბამისობა 2013 წლის განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის განათლებისა და ტრენინგის სფეროებსა (ISCED-F) და ISCED 1997 (ISCED 2011)-ის განათლების სფეროებს შორის**

ISCED განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013	ISCED 1997 (ISCED 2011) განათლების სფეროები
00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები	0 ზოგადი პროგრამები
001 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები	01 საბაზო პროგრამები
002 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება	08 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება
003 პიროვნული უნარები და განვითარება	09 პერსონალური განვითარება
01 განათლება	1 განათლება
011 განათლება	14 მასწავლებლის მომზადება და განათლების მეცნიერებები
02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები	2 ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება
021 ხელოვნება	21 ხელოვნება
022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)	22 ჰუმანიტარული მეცნიერებები
023 ენები	
03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	3. სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი (მინუს ბიზნესი და სამართალი)
031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები	31 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	32 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
04 ბიზნესი, ადმინისტრირება და მართვა	3. სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი (მინუს სოციალური მეცნიერებები)
041 ბიზნესი და ადმინისტრირება	34 ბიზნესი და ადმინისტრირება
042 სამართალი	38 სამართალი
05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა	4 მეცნიერება (მინუს კომპიუტინგი) დამატებული ბუნებრივი პარკები და ველური ბუნება 62- დან “სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა”
051 ბიოლოგიური და მონათესავე მეცნიერებები	42 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები მინუს სხვა მომიჯნავე მეცნიერებები
052 გარემო	42-სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ნაწილი (სხვა მომიჯნავე მეცნიერებები); 62-“სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის” ნაწილი (ბუნებრივი პარკები, ველური ბუნება)
053 ფიზიკური მეცნიერებები	44 ფიზიკური მეცნიერება
054 მათემატიკა და სტატისტიკა	46 მათემატიკა და სტატისტიკა
06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	4 მეცნიერება (მხოლოდ კომპიუტინგი)
061 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	48 კომპიუტინგი
07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა	5 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (პლუს 85-“გარემოს დაცვის” უმეტესობა)
071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე	52 ინჟინერია და საინჟინრო საქმე (პლუს 85-“გარემოს დაცვის” უმეტესობა)
072 წარმოება და გადამამუშავება	54 წარმოება და გადამამუშავება
073 არქიტექტურა და მშენებლობა	58 არქიტექტურა და მშენებლობა
08 სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია	6 სოფლის მეურნეობა (მინუს ბუნებრივი პარკები და ველური ბუნება)
081 სოფლის მეურნეობა	62 სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა (მინუს ბუნებრივი პარკები და ველური ბუნება)
082 მეტყვეობა	
083 მეთევზეობა	
084 ვეტერინარია	64 ვეტერინარია
09 ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა	7 ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა
091 ჯანდაცვა	72 ჯანდაცვა
092 სოციალური კეთილდღეობა	76 სოციალური მომსახურება
10 მომსახურებები	8 მომსახურებები (მინუს 85-“გარემოს დაცვის” უმეტესი ნაწილი)

101 პერსონალური მომსახურებები	81 პერსონალური მომსახურებები
102 ჰიგიენა და პროფესიული/ოკუპაციური ჯანდაცვის მომსახურებები	85-“გარემოს დაცვის” ნაწილი (საზოგადოებრივი სანიტარია და შრომის დაცვა და უსაფრთხოება)
103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები	86 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები
104 სატრანსპორტო მომსახურებები	84 სატრანსპორტო მომსახურებები

**ურთიერთობა ევროკავშირის ტრენინგის სფეროებთან (FoT-1997) და განათლებისა და ტრენინგის სფეროებთან (FoET-1999)**

45. ევროკავშირის კლასიფიკაციები: ტრენინგის სფეროები (FoT-1997) და განათლებისა და ტრენინგის სფეროები (FoET-1999) შემუშავდა ISCED 1997-ის განათლების სფეროების მიხედვით და ძირითადად მასთან შესაბამისობაშია, იერარქიის პირველსა და მეორე დონეზე ფორმულირებებში (ასევე ციფრებში) მცირეოდენი ცვლილებების გარდა. FoET-1999 შემუშავდა FoT-1997-ის საფუძველზე და ის ჩაანაცვლა. FoET-1999 არის კლასიფიკაციის სამ დონიანი (და 3 ციფრიანი) იერარქია და გახდა წინამდებარე დოკუმენტის, ISCED-F-ის რევიზიის საწყისი წერტილი.

46. FoET-1999 საერთაშორისო დონეზე გამოიყენება სხვადასხვა მონაცემის შესაგროვებლად. მაგალითად,

- ჩარიცხულებისა და დამთავრებულების ადმინისტრაციული მონაცემებისათვის;
- საოჯახო მეურნეობების გარკვეულ კვლევებსა; და
- სტუდენტების შეფასების კვლევებში.

47. ავსტრალიის სტატისტიკის ბიუროს 1993 წლის “კვალიფიკაციების კლასიფიკაცია” (ABSCQ 1993) აქტიურად იქნა გამოიყენებული, როგორც FoT-1997-ის, ასევე FoET-1999-ის შემუშავებისას. მიუხედავად იმისა, რომ ABSCQ 2001 წელს ჩაანაცვლა ავსტრალიის განათლების სტანდარტულმა კლასიფიკაციამ (ASCED), ISCED-F-ის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა 1993 წლის ABSCQ-ს გარკვეული ტექსტი და ზოგიერთი ცნებები, ვინაიდან FoET-1999 გახდა საწყისი წერტილი ISCED-ის სფეროების რევიზიისათვის.

**ურთიერთობა პროფესიების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციასთან (ISCO-08)**

48. პროფესიების/საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCO-08) არის პროფესიების შესახებ იმ ინფორმაციის აგრეგირებისა და კლასიფიცირების სისტემა, რომლის მოპოვებაც ხდება მოსახლეობის აღწერებიდან, სხვა სტატისტიკური კვლევებიდან და ასევე ადმინისტრაციული რეესტრებიდან. მისი მთავარი მიზანია

საერთაშორისო დონეზე სამუშაოსა და პროფესიის შესახებ ანგარიშგებისა და ინფორმაციის შედარების საფუძველის შექმნა.

ა. სამუშაო განმარტებულია, როგორც “ერთი პირის (მათ შორის დამსაქმებელი და თვითდასაქმებული) მიერ შესრულებული ან შესასრულებელი ამოცანებისა და მოვალეობების ნაკრები”.

ბ. პროფესია/საქმიანობა არის “სამუშაოთა ნაკრები, რომლის მთავარი ამოცანები და მოვალეობები მაღალი ხარისხის მსგავსებით ხასიათდება”. პირი ასოცირებულია პროფესიასთან მისი წარსული, მიმდინარე და მომავალი სამუშაო ურთიერთობების მეშვეობით.

49. ISCO-08 პროფესიების დაჯგუფებისათვის იყენებს ორ საბაზო კრიტერიუმს: უნარის დონე და უნარის სპეციალიზაცია.

ა. უნარი განმარტებულია, როგორც “მოცემული სამუშაოს ამოცანებისა და მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა”.

ბ. უნარის დონე ასახავს “შესასრულებელი ამოცანებისა და მოვალეობების სირთულესა და დიაპაზონს”.

გ. უნარის სპეციალიზაცია განისაზღვრება ისეთი ტერმინებით როგორცაა “მოთხოვნილი ცოდნის სფერო, გამოყენებული ინსტრუმენტები და მექანიზმები, მასალები, რომელზედაც ან რომლითაც ხორციელდება სამუშაო და წარმოებული საქონელი და მომსახურება.”

50. ISCO-08-ის ფარგლებში არსებულ უნარის სპეციალიზაციის ცნებას გარკვეული მსგავსება აქვს ISCED-ის განათლებისა და ტრენინგის სფეროებთან. ამასთან, ISCO-08 და ISCED-F ახდენენ განსხვავებული სტატისტიკური ერთეულების კლასიფიცირებას, განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენებით. ISCED-F სწავლის შინაარსის საფუძველზე ახდენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირებას, მაშინ როდესაც ISCO-08 ახორციელებს სამუშაოების კლასიფიცირებას მის შესასრულებლად საჭირო უნარის დონესა და სპეციალიზაციის საფუძველზე. ამდენად, ყოველთვის არ არსებობს პირდაპირი შესაბამისობა ამ ორი კლასიფიკაციის პროფესიებისა და სფეროების ჯგუფებს შორის, თუმცა გარკვეული კავშირები ნამდვილად არსებობს.

### ***ურთიერთობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროების (FoS 2007) კლასიფიკაციასთან***

51. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროები - 2007(FoS 2007) ახდენს სამეცნიერო კვლევებისა და ექსპერიმენტული განვითარების (R&D) კლასიფიცირებას და არის OECD-ის ფრასკატის სახელმძღვანელოს ნაწილი. FoS-ი ბოლოს გადამუშავდა 2007 წელს და ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული ვერსიის დანართი (<http://www.oecd.org/dataoecd/36/44/38235147.pdf>). FoS-ი არის ორდონიანი იერარქიული კლასიფიკაცია და მოიცავს 6 ძირითად სფეროს:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგია
3. მედიცინა და ჯანდაცვის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

ეს ექვსი ძირითადი სფერო იყოფა მეორე დონის 40 სფეროდ.

52. FoS -ის 2007 წლის რევიზია ძირითადად საჭირო გახდა ისეთი ახალი სფეროების განვითარების გამო, როგორცაა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და ნანოტექნოლოგიები, ისევე როგორც ინტერდისციპლინური კვლევების განვითარების გამო.

53. ISCED-F-ში გასათვალისწინებელი, ახლადგანვითარებული სფეროების იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებულ იქნა ისევე, ISCO-08 და FoS-2007, კლასიფიკაცია.

54. არასასურველი განსხვავებების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა ISCED-F-ის რელევანტური ნაწილების შედარება FoS-თან. ამასთან, ცნობილია, რომ FoS-სა და ISCED-F-ს აქვთ განსხვავებული მიზნები და პირდაპირი შესაბამისობის დადაგენა ამ ორ კლასიფიკაციას შორის შეუძლებელია.

## დანართი 1. ISCED-ის განათლებისა და ტრენინგის სფეროები

ფართო სფერო	ვიწრო სფერო	დეტალური სფერო
00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები	001 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები 002 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება 003 პიროვნული უნარები და განვითარება	0011 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები 0021 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება 0031 პიროვნული უნარები და განვითარება
01 განათლება	011 განათლება	0111 განათლების მეცნიერება 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება 0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები	021 ხელოვნება	0211 აუდიო-ვიზუალური ტექნიკა/მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული დიზაინი 0213 სახვითი ხელოვნება 0214 გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა) 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
	022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)	0221 რელიგია და თეოლოგია 0222 ისტორია და არქეოლოგია 0223 ფილოსოფია და ეთიკა
	023 ენები	0231 ენის დაუფლება 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები	0311 ეკონომიკა 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0313 ფსიქოლოგია 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
	032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა



04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	041 ბიზნესი და ადმინისტრირება	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0414 მარკეტინგი და რეკლამა 0415 სამდივნო და საოფისე საქმე 0416 საბითუმო და საცალო გაყიდვები 0417 შრომითი უნარები
	042 სამართალი	0421 სამართალი
05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა	051 ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები	0511 ბიოლოგია 0512 ბიოქიმია
	052 გარემო	0521 გარემოსმცოდნეობა 0522 ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება
	053 ფიზიკური მეცნიერებები	0531 ქიმია 0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0533 ფიზიკა
	054 მათემატიკა და სტატისტიკა	0541 მათემატიკა 0542 სტატისტიკა
06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	061 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	0611 კომპიუტერის გამოყენება 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი/შემუშავება და ადმინისტრირება 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა	071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე	0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები 0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0713 ელექტრობა და ენერგეტიკა 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია 0715 მექანიკა და ლითონის საქმე/დამუშავება 0716 ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები
	072 წარმოება და გადამუშავება	0721 საკვები პროდუქტების გადამუშავება 0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა) 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) 0724 სამთო საქმე და მოპოვება
	073 არქიტექტურა და მშენებლობა	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
	081 სოფლის მეურნეობა	0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა

08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია		0812 მეზღვეობა
	082 მეტყევეობა	0821 მეტყევეობა
	083 მეთევზეობა	0831 მეთევზეობა
	084 ვეტერინარია	0841 ვეტერინარია
09 ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა	091 ჯანდაცვა	0911 დენტალური მედიცინა 0912 მედიცინა 0913 საექთნო და სამეანო საქმე 0914 სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტექნოლოგიები 0915 თერაპია და რეაბილიტაცია 0916 ფარმაცია 0917 ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინა და თერაპია
	092 სოციალური კეთილდღეობა	0921 მოხუცებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ზრდასრულთა მოვლა 0922 ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები 0923 სოციალური მუშაობა და კონსულტაცია
10 მომსახურებები	101 პერსონალური მომსახურებები	1011 საშინაო(საოჯახო-საყოფაცხოვრებო ) მომსახურება 1012 თმისა და სილამაზის მომსახურებები 1013 სასტუმრო, რესტორანი და კვება 1014 სპორტი 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
	102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები	1021 საზოგადოებრივი სანიტარია 1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
	103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები	1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა 1032 ადამიანებისა და საკუთრების დაცვა
	104 სატრანსპორტო მომსახურებები	1041 სატრანსპორტო მომსახურებები
<p>ზემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურ სფეროებში შესაძლებელია დამატებით “0”, “8” და “9” ციფრების გამოყენება (იხ. მე-7 და მე-8 სექციის სახელმძღვანელო პრინციპები):</p> <p>“8” - გამოიყენება ვიწრო და დეტალური სფეროების დონეზე ინტერდისციპლინური და ფართო პროგრამებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირებისათვის იმ ფართო სფეროში, რომელსაც მიეკუთვნება დაგეგმილი სასწავლო დროის დიდი ნაწილი (მაგ. 0288 “ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს”);</p> <p>“0” - გამოიყენება მაშინ, როდესაც სფეროზე არ მოიპოვება დამატებითი ინფორმაცია, გარდა იმისა, რაც უკვე ცნობილია კლასიფიკაციის იერარქიის უფრო მაღალ დონეზე (მაგალითად, ფართო ან ვიწრო სფეროს დონეზე);</p> <p>“9” - გამოიყენება დეტალური სფეროს დონეზე, როცა ხდება ისეთი პროგრამისა და კვალიფიკაციის კლასიფიცირება, რომელიც არ შეესაბამება არც ერთ არსებულ დეტალურ სფეროს. მონაცემთა შეგროვებისას, განსაკუთრებით კი სტატისტიკურ კვლევებში.</p> <p>“9999”, “999” ან “99”-ს გამოყენება შესაძლებელია როდესაც სფერო უცნობია.</p>		

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED) არის გაეროს ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციის საერთაშორისო ოჯახის წევრი და რეფერირებად კლასიფიკაციას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების განათლების დონეებისა და სფეროების მიხედვით ორგანიზებისათვის. იუნესკომ აღნიშნული კლასიფიკაცია შეიმუშავა 1970-იან წლებში, როგორც საერთაშორისო დონეზე შესადარებელი განათლების სტატისტიკის შეგროვების, კომპილაციისა და ანალიზის საერთაშორისოდ შეთანხმებული ჩარჩო. ერთიანი საერთაშორისო კლასიფიკაციის არსებობა ურთიერთშესადარებელი მონაცემების შეგროვების მიმართულებით გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯი კი ქვეყნების მიერ კლასიფიკაციის თანამიმდევრული გამოყენებაა.

ISCED-ის 2011 წლის გადამუშავებული ვერსია პირველ რიგში კონცენტრირებულია პროგრამების (ISCED-P) განათლების დონეების ცვლილებაზე და კვალიფიკაციების საფუძველზე (ISCED-A) საგანმანათლებლო მიღწევის დონეების კლასიფიცირება პირველად განხორციელდა. 2013 წელს მიღებული ISCED-F-ი, ISCED-2011-ით დადგენილ განათლების საშუალო, საშუალოს შემდგომ და უმაღლეს დონეებზე, აღწერს და კატეგორიებად აჯგუფებს განათლებისა და ტრენინგის განახლებულ სფეროებს.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS) არის ISCED-ის კლასიფიკაციის ოჯახის (ISCED-P, ISCED-A და ISCED-F) მცველი. ის პასუხისმგებელია კლასიფიკაციების განვითარებაზე, შენარჩუნებასა და განახლებაზე. საერთაშორისო მონაცემების შეგროვება-ანალიზისათვის ინსტიტუტი იძლევა რეკომენდაციებს ISCED-ის ეფექტურ და თანამიმდევრულ გამოყენებასთან დაკავშირებით.



იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS) არის იუნესკოს სტატისტიკის ოფისი და გაეროს გლობალური სტატისტიკის დეპოზიტორი/საცავი განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში.